სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
270.070.000.36.143.000.595

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №19

## 2010 წლის 24 აგვისტო

## ქ. ხაშური

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების, აგრეთვე ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები №1 დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 23 იანვრის №1 დადგენილება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე დ. ლომიძე**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 სექტებრის დადგენილება №44 - სსმ V, №38, 15.10.2010 წ., მუხ.1114

***დანართი №1***

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

| *№* | **თანამდებობის დასახელება** | ***თანამდებობრივი სარგო*** |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| | I თანამდებობის პირები | |
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2360 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1100 |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 650 |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 650 |
| | II საკრებულოს აპარატი | |

| | | |
|---|---|---|
| 1 | აპარატის უფროსი | 700 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის  თანაშემწე | 450 |
| 3 | სპეციალისტი | 420 |

*ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 30 სექტემბრის დადგენილება №44 - სსმ V, №38, 15.10.2010 წ., მუხ.1114*